MES 5 23 0001774763

28/12/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 15 დეკემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ბოტკოველი;
- ელენე ბოდაველი;
- ირმა არსენაშვილი;
- თამილა გრძელიშვილი;
- ინგა ბაქრაძე;
- ნინო ჩომახაშვილი;
- ქეთევან ჯანელიძე;
- ნიკა ჯიაძე;
- თათია გივიშვილი;
- ქეთევან ღვანიძე;
- ნანა ვერულაშვილი;
- პაატა ცაგარეიშვილი;
- მედეა ზურაბიშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი მოადგილე - რუსუდან სუხიშვილი;
დირექტორის მოადგილე - სოფიო სუხიშვილი;
ხარისხის მენეჯერი - ნინო დვალი;
იურისტი - ივანე ბალახაშვილი.

შპს „ნიუ მეჯიქი“
დირექტორი- ლევან ტაკიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი- ნატალია ბარათელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს „ნიუ მეჯიქის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, საქმე ეხებოდა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას მიერ ინიცირებულ საკითხს მისამართის ცვლილების შესახებ, რომლის თაობაზეც დაწესებულებამ ცენტრს აცნობა სამი წერილით, წერილები ცენტრში შემოვიდა 2023 წლის 13, 16 და 27 ნოემბერს. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ორივე სასწავლო კორპუსი განთავსებული იყო თორნიკე ერისთავის ქ. N2 - ში. ქ. თბილისის მერიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო ბიუროს მიერ მოხდა თორნიკე ერისთავის ქუჩის ხელახალი გადანომრვა, შესაბამისად, იგივე მისამართზე მიენიჭა ახალი ნომრები: თორნიკე ერისთავის ქუჩა N15ა (N1 კორპუსი) და თორნიკე ერისთავის ქუჩა N15 (N2 კორპუსი). დაწესებულებამ ცენტრს, ასევე, აცნობა პროგრამების განაწილება კორპუსების მიხედვით, შესაბამისად, ცენტრი მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით შეიტანოს ცვლილება ავტორიზაციის საბჭოს ორ გადაწყვეტილებაში, პირველი გადაწყვეტილება ეს იყო 2023 წლის 3 აგვისტოს ავტორიზაციის მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს N870077 და მეორე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 ნოემბერის №1400770 გადაწყვეტილება, აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მხოლოდ მისამართში შედის ცვლილება, დანარჩენი პარამეტრები ყველა პროგრამისთვის იგივეა, ცენტრი საბჭოს წინაშე შუამდგომლობს რომ , შევიდეს ცვლილება აღნიშნულ გადაწყვეტილებებში.

საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულ ცვლილებას შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს №870077 და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 ნოემბერის №1400770 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს № 870077 და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 ნოემბერის №1400770 გადაწყვეტილებებში,კერძოდ, ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 აგვისტოს № 870077 გადაწყვეტილების მეორე პუნქტის და საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 3 ნოემბერის №1400770 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროგრამები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დანართი 1).**

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნინო ველთაური.

პირველი საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 2023 წლის 6, 7 და 8 სექტემბერს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროგრამების განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი, 2012 წლიდან დღემდე, ემსახურება, ჯანდაცვისა და ვეტერინარიის სფეროში კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდას. კოლეჯი გამოირჩევა მაღალი კორპორაციული კულტურითა და გუნდური მუშაობით, ორიენტირებულია განვითარებაზე და აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რესურსით, რაც საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტს მიიღოს შესაბამისი ცოდნა, განივითაროს უნარები და გახდეს მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები და რის საფუძველზეც აკონტროლებს ხარისხის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დამატებით, საკუთარი ადამიანური რესურსის გამოყენებით, 2022 წელს განახორციელა კოლეჯის „ამაგი“ სიმულაციური ავტორიზაცია. შეადგინა სიმულაციური ავტორიზაციის დასკვნა. დასკვნის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა და განახორციელა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებამ საკმაოდ კარგი პრაქტიკა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფისათვის, რაც აშკარად გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი მუდმივად ზრუნავს კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებაზე, იკვლევს მათი დასაქმების მაჩვენებლებს, კმაყოფილებას, იკვლევს ასევე არ დასაქმების მიზეზებს და ხელს უწყობს მათ სასურველი სამუშაო ადგილების მოძიებაში. ვიზიტის დროს ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.1.3 - შესრულების ინდიკატორების ფორმულირების დროს კოლეჯმა გაითვალისწინოს, რომ შესრულების ინდიკატორი მაგ. არ შეიძლება იყოს მხოლოდ ჩატარებული ტრენინგი, არამედ ის, თუ რა შედეგი დადგება სამოქმედო გეგმაში მითითებული ამოცანის შესრულების შემთხვევაში, თუნდაც ტრენინგის დასრულების შემდგომ.

3.1.1.5. კოლეჯში არსებული პრაქტიკის შესწავლით და წარმოდგენილი პაკეტებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში, რასაც ხელმოწერით ადასტურებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-18 მუხლით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ჩაერთოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, თავად მუხლ 31-ში, რომლითაც რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და რომელშიც გაწერილია შესაბამისი პროცედურები, არაფერია ნათქვამი პროფესიული სტუდენტის ჩართულობაზე. შესაბამისად, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის 31 მუხლშიც ასახოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობის უფლებამოსილების საკითხი.
3.2.1.4 გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჰყავს ერთი დირექტორი, ბუნდოვანია ჩანაწერი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-18 მუხლის, მე-5 ქვეპუნქტში - ინიციატივის წარდგენა ხდება კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე დირექტორის სახელზე. სასურველია დაწესებულებამ დააზუსტოს აღნიშნული ჩანაწერი.
4.1.1.1 მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განათლებასთან ერთად მოთხოვნილია შესაბამისი სერტიფიკატი. ჩანაწერი ბუნდოვანია, სასურველია დაწესებულებამ დააზუსტოს რა იგულისხმება შესაბამის სერტიფიკატში, კონკრეტულად, რა მოთხოვნა აქვს და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამ ნაწილში ჩანაწერი გახადოს კონკრეტული და გასაგები.
4.1.2.1 სასურველია, დაწესებულებამ უკეთ გაიაზროს აპლიკანტთა კომპეტენციების შეფასებისათვის შემუშავებული კითხვები, მათი უფრო, ობიექტურად შეფასების მიზნით.
5.1.1.3. რამდენადაც, კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში სველი წერტილების, გამართულ მუშაობაზე ზედამხედველობა ევალება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ვფიქრობთ დამლაგებლები სწორედ მასთან უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯს მიეცა შესაბამისი რჩევა - კოლეჯის დამლაგებლების ანგარიშვალდებულება გაიწეროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და არა დირექტორის წინაშე.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების შენობა სამსართულიანია და მოიცავს თეორიული სწავლების აუდიტორიებს 9 - A გარემო, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართს 1-B გარემო და დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტებს 5 - A/C გარემო. შენობაში განთავსებული იყო: სამედიცინო ოთახი, თვითმმართველობის ოთახი, დიდი საკონფერენციო დარბაზი. ადმინისტრაციული სივრცე - სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სივრცე პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, სივრცე არქივისთვის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ოთახი. ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის მაგიდებით და სკამებით, დაფებით, პროექტორებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. AC გარემო აღჭურვილი იყო, ასევე, ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, ინტერნეტ მონიტორით. B გარემო, რომელშიც განთავსებულია 20+1 კომპიუტერი (პროფესიული მასწავლებლისთვის) და დამონტაჟებულია პროექტორი განკუთვნილია ასევე, 20 პროფესიული სტუდენტისათვის. კოლეჯს საერთო ჯამში აქვს 55 კომპიუტერი, 7 პროექტორი და 9 პრინტერის აპარატი. მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტთათვის რეკრეაციულ სივრცედ გამოყოფილია რამდენიმე სივრცე, კოლეჯში ჩატარებულია ყველა აუდიტორიის მონიტორინგი მატერიალურ რესურსთან მიმართებით და შექმნილია საბოლოო ინვენტარიზაციის დოკუმენტი. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე. მისი ფუნქცია/მოვალეობები გაწერილია მარეგულირებელი დებულების 22-ე მუხლით. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო

მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. ვიზიტის პერიოდში, ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის შედეგად, ასევე, კოლეჯის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამებოდა დაწესებულების პროცესებს, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა კოლეჯის ყველა თანამშრომლის, ასევე პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია პუნქტი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ და ყველა მათგანს გაცხადებული აქვს თანხმობა ამასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება ხელმოწერით, პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით, კოლეჯი უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, რაც გულისხმობს კომპიუტერებით, პრინტერებით აღჭურვილ აუდიტორიებსა თუ ადმინისტრაციულ კაბინეტებს. ბუღალტერია სარგებლობს ORIS ელექტრონული პროგრამით, საქმისწარმოებისათვის, მატერიალური ფორმის დოკუმენტ ბრუნვასთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონულ სისტემა e-flow. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კოლეჯის ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა იმ ხარჯს, რომელიც კოლეჯის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის არის საჭირო, შესაბამისად კოლეჯის, როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით, რასაც უზრუნველყოფს როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვაუჩერული დაფინანსება, ასევე, პროფესიულ სტუდენტთა ფინანსური შენატანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯმა - ამაგი წარმოადგინა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის საექთნო განათლების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმად კოლეჯმა მოიძია ქვეყნის მასშტაბით არსებული კვლევები, ასევე ჩაატარა დამსაქმებელთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები გამოიყენა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის საექთნო განათლების პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებისთვის და განსაზღვრა პროგრამის კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა. საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისად პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილია 1/7 ინსტრუქტორი, პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 105 პროფესიული სტუდენტი 3 წლის განმავლობაში. ყოველ წელიწადს განსაზღვრულია 35 პროფესიული სტუდენტი 2 ჯგუფად. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების

ზღვრული რაოდენობა არის 105. კოლეჯს აქვს ოთხი A გარემო საექთნო განათლების პროგრამისათვის. მითითებულ აუდიტორიებში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა 20 სამუშაო ადგილი, 1 B სასწავლო გარემო - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -20. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ არსებულ გარემოში შესაძლებელია თეორიული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევა. კოლეჯს აქვს ასევე 1 A/C გარემო რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის/კლინიკური სწავლების განხორციელება: პროგრამის 39 მოდულიდან, 17 მოდული, რაც შეადგენს პროგრამის 99 კრედიტს, ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებში. კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 5 პრაქტიკის ობიექტთან: ს.ს.ი.პ გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, შპს გორმედი, ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“, შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. ვიზიტის პერიოდში კლინიკაში პრაქტიკულ მოდულებს გადიოდნენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. ინსტრუქტორებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ კოლეჯთან და დიდი კმაყოფილება გამოთქვეს, როგორც თავად კოლეჯის ადმინისტრაციის და კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე, პროფესიული სტუდენტების მიმართ. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვეტერინარია“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შპს „ამაგს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ -მიზნებისათვის გამოყოფილო აქვს 2 A, 1 C, 2 A/C გარემო და 1 B გარემო, რომლებიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯს პროგრამის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც მოწყობილია C გარემო და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სასწავლო ლაბორატორიები. განთავსებულია მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი, რაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. პროგრამისთვის განკუთვნილი C გარემო წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს, სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, ონკანი, ნიჟარა, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა, პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული. C გარემოს უზრუნველსაყოფად კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: შპს ნიშა - სოფელი ორთაშენი, შიდა ქართლის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია - სოფელი მეჯვრისხევი, სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია - ქ. გორი, თამარ მეფის ქ.№125, შპს გორი - სოფელი მეჯვრისხევი, ი/მ გიგა გიორგაძე - გორი. მშვიდობის გამზ.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 28 განმახორციელებელი, მათ შორის 9 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი და 19 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი. პროგრამას ჰყავს 10 ინსტრუქტორი. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც

თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათი პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი)“.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მატერიალურ რესურსებს და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით- 40 სტუდენტზე. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B და A/ C, რომელიც გათვალისწინებულია 20 პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო გარემო A : პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) ფარგლებში თეორიული მეცადინეობისათვის და ჯგუფური მუშაობისათვის გამოყოფილია ერთი A სასწავლო გარემო, სადაც ადგილების რაოდენობა სულ შეადგენს 20-ს. აუდიტორიებში მოწყობილია პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სივრცე (მაგიდა/სკამი), განთავსებულია დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, სასწავლო პლაკატები და სხვა, სასწავლო გარემო B: კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც აკმაყოფილებს ჯგუფში პროფესიული სტუდენტების რაოდენობას და ითვალისწინებს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას, აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები), სასწავლო გარემო A/C - სიმულაციურ გარემოში განთავსებულია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, მაგიდა, სკამები, კარადები, დემონსტრაციის საშუალებები და პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული, განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის და აღჭურვილია ელევატორებით, სხვადასხვა სახის (ანაწყობი) ზედა და ქვედა ყბის ფანტომით, თერაპიული ზონდით, თერაპიული საბჟენით, მულიაჟით-"პაციენტი". ასევე პირის ღრუს სარკე, სამუშაო დაფა, სტომატოლოგიური ინსტრუმენტები და სხვა. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია ზოგადი მოდულის განმახორციელებელი -11, დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი - 7, ინსტრუქტორი - 17, პროგრამის შემადგენელ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40

საათს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო)

ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)"ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N9, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები: 2 A გარემო-აუდიტორიები, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის 20 სამუშაო ადგილით. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი), B გარემო/კომპიუტერული - აუდიტორია პროფესიული სტუდენტისთვის 20 სამუშაო ადგილით. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ კოლეჯის B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების" მოდულის განხორციელებისთვის, AC გარემო - აუდიტორია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით. აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით მოდულისთვის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება". აღნიშნული გარემო, ასევე წარმოადგენს „საექთნო განათლების" პროფესიული პროგრამის სასწავლო ერთ-ერთ AC გარემოს. სასწავლო ცხრილების, მოდულების საკონტაქტო საათების ანალიზით სიმულაციური გარემო გამტარუნარიანია ორივე პროგრამისთვის არსებული კვოტის ფარგლებში, C გარემო - ქიმიური ლაბორატორია- განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის,2 AC გარემო - სიმულაციური აფთიაქი - განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „პსპ ფარმასთან"; სს ,,გეფასთან" და შპს ,,ავერსი ფარმასთან". ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 80 პროფესიულ სტუდენტს. თითოეულ წელს მიიღებს 40-40 პროფესიულ სტუდენტს (თითოეულ ნაკადზე 2 ჯგუფი), ამასთან საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებში, შპს „პსპ ფარმა", სს, ,გეფა" და შპს ,,ავერსი ფარმა"-ში, სადაც ხელშეკრულების შესაბამისად თითოეული კომპანია მომსახურებას გაუწევს ყოველწლიურად 40-40 სტუდენტს. ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 39 აქტიური პროფესიული სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული 1 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და

საერთაშორისო პრაქტიკას. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით სიმულაციურ ავტორიზაციასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ცვლილებები შევიდა თუნდაც სამოქმედო გეგმაში სიმულაციური ავტორიზაციის შემდეგ.

ექსპერტის განცხადებით, ძირითადი ცვლილებები მატერიალურ რესურსს შეეხო, მთელს კოლეჯში ჩატარდა ინვენტარიზაცია, ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვები, დაემატათ კომპიუტერები, თუმცა ისეთი ძირეული ცვლილება სიმულაციური ავტორიზაციის შემდეგ არ მომხდარა დაწესებულებისთვის. მისი თქმით, სიმულაციური ავტორიზაციის პროცესი შეეხო პრაქტიკის ობიექტსაც, რის შემდეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პრაქტიკის ობიექტი ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციას, შესაბამისად, დაწესებულებამ კიდევ ერთი პრაქტიკის ობიექტი დაიმატა.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ იხარჯებოდა უსაფრთხოების სისტემაზე ზედმეტად ბევრი რესურსი და ხომ არ აკლდებოდა ეს რესურსი ძირითადს. კოლეჯის მიერ ხომ არ იყო ზედმეტი დანახარჯები, რაც სტანდარტების მოთხოვნებს აღემატებოდა.

ექსპერტის განმარტებით, კოლეჯი დაცული და უსაფრთხო იყო. ყველა რესურსი არსებობდა იმისათვის, რომ ადამიანებს თავი დაცულად ეგრძნო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ექსპერტების აზრით აღნიშნული დანახარჯები უსაფრთხოების სისტემაზე არ იყო ზედმეტი, იმიტომ, რომ უსაფრთხოება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ყველა კოლეჯისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რა ფორმით ახორციელებდა დაწესებულება დასაქმების კვლევას.

ექსპერტის განცხადებით, ადგილზე მყოფ სტუდენტებს ეგზავნებოდათ კითხვები სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე, არსებობდა ჯგუფები, სადაც აღნიშნული კითხვარები მათ ეგზავნებოდათ ბმულის მეშვეობით და 2 კვირის ვადაში უნდა შეევსოთ. რაც შეეხება კურსდამთავრებულების გამოკითხვას, დასაქმებასთან დაკავშირებით, ძირითადად სატელეფონო ინტერვიუირებით ხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ როგორ ახორციელებდა კოლეჯი პერსონალის შეფასებას და რა კრიტერიუმის მიხედვით აფასებდა კოლეჯი პერსონალს.

ექპერტის განმარტებით, პერსონალის შეფასების პროცესში ჩართული იყო პერსონალისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. შეფასება ხდებოდა გასაუბრებით, ასევე, იყო შესაბამისი ჯგუფიც. პერსონალის მართვის მენეჯერის შემდეგ პერსონალის შეფასებას საბოლოოდ ახორციელებდა დირექტორი. რაც შეეხება კრიტერიუმებს, შეფასება ხდებოდა პერსონალის მიერ გაწეული საქმიანობის მიხედვით, განსხვავებული მიდგომა იყო გამოსაცდელი ვადით აყვანილი პერსონალის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში, რამდენად იყო მისაღები კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება ექსპერტებისთვის და რამდენად ასაბუთებდა იმას, რომ დაწესებულება ნამდვილად უნდა ახორციელებდეს აღნიშნულ პროგრამას.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ექსპერტები ეთანხმებოდა კოლეჯის დასაბუთებას საექთნო განათლების პროგრამის განხორციელების შესახებ. დაწესებულებას ბაზა მოწესრიგებული ჰქონდა და პროგრამის ხელმძღვანელიც არაჩვეულებრივი იყო, რომელსაც ძალიან დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდა. პრაქტიკის ობიექტის შემოწმების დროს გამოიკვეთა კმაყოფილი სტუდენტების დიდი რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში, თუ რამდენი პრაქტიკის ობიექტი ჰქონდა დაწესებულებას შერჩეული.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას შერჩეული ჰქონდა ხუთი პრაქტიკის ობიექტი. ექსპერტები ხუთი პრაქტიკის ობიექტიდან მხოლოდ ერთ და ყველაზე დიდ ობიექტზე იყვნენ მისულნი. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა წესის დაცვის მიხედვით. მისი თქმით, გორის ბაზაზე, სადაც ექსპერტები იყვნენ ვიზიტზე, სამხედრო ჰოსპიტალში, მოქმედი სტუდენტების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც სტუდენტებს, ასევე, სამხედრო ჰოსპიტალში დასაქმებულ კოლეჯის კურსდამთავრებულებს. . აღსანიშნავია, რომ კოლეჯს დამატებული ჰყავდა 10 ინსტრუქტორი. საერთო ჯამში სულ 31 პირი უზრუნველყოფდა პროგრამის განხორციელებას, მათ შორის 7 ზოგად მოდულს და 24 დარგობრივ მოდულს, ასევე, აღნიშნა, რომ სტუდენტების გადამზადება და დასაქმება მოხდებოდა, როგორც თბილისის, ისე გორის მასშტაბითაც.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ რადგან საექთნო განათლების განმახორციელებლების თემატური მოკვლევა ჩატარდა წელს, ექსპერტი თუ დაინტერესდა , თუ როგორ ტარდებოდა საკვალიფიკაციო გამოცდები დაწესებულებებში, სად ტარდებოდა და თუ ინახებოდა შეფასების მტკიცებულებები და როგორი იყო დასაქმების მაჩვენებელი, აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა კოლეჯს ბოლო სამი წლის განმავლობაში და ეს თუ ჰქონდა დაწესებულებას გამოკვლეული, ასევე, როგორი იყო დასაქმებულთა მხრიდან სამუშაო ადგილის შენარჩუნების მაჩვენებელი.

საბჭოს წევრმა, ვალერი გულბანმა, მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, საექთნო განათლების, პროგრამის ფარგლებში, რით დასტურდებოდა დასაქმების მაჩვენებელი. დასაქმებულ სტუდენტთა უმეტესობა ადგილზე რჩებოდა, თუ ყველა თბილისში მიდიოდა. ასევე, საჭიროების კვლევის ნაწილში მხოლოდ ხუთ სამედიცინო დაწესებულებასთან ჰქონდა კოლეჯს გაფორმებული ხელშეკრულება და საინტერესო იყო, თუ როგორ, ვის მიერ და რა მეთოდოლოგიით ჩატარდა აღნიშნული პროგრამის განხორციელების საჭიროების კვლევა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, როგორც წინათ აღნიშნა, დაწესებულებას ხუთი პრაქტიკის ობიექტი ჰქონდა შერჩეული, ამ ხუთი პრაქტიკის ობიექტიდან, სადაც იმყოფებოდნენ პრაქტიკის კომპონენტის სწავლების პერიოდში სტუდენტები, იქ მოხდა მისვლა და შეხვედრა მათთან. დაახლოებით 15 სტუდენტი იმყოფებოდა ადგილზე, ძირითადად იყვნენ რეგიონში მაცხოვრებლები, არავის გამოუთქვამს სურვილი თბილისში დასაქმების შესახებ. მისი თქმით, კოლეჯსა და კარიტასს შორის თბილისშიც და გორშიც მოხდა რამდენიმე მოქმედი და კურსდამთავრებული სტუდენტის გადამზადება, ასეთი იყო 26 ადამიანი, დაახლოებით 16 ადამიანი დასაქმდა თბილისში და დანარჩენი დარჩა რეგიონში, გორის ბაზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში, გაეკეთებინა კომენტარი ზემოაღნიშნულ თემასთან დაკავშირებით,

რომელიც ეხებოდა საკვალიფიკაციო გამოცდების, დასაქმების და შრომის ბაზრის შესახებ საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საექთნო განათლების პროგრამამ პანდემიიდან გამომდინარე კოლეჯს დაანახა მისი განხორციელების საჭიროება. კოლეჯმა 2018 წელს მოიპოვა ავტორიზაცია აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესახებ, თუმცა, მანამდე ახორციელებდა პრაქტიკოსი ექთნის პროგრამასაც. აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკოსი ექთნის დამამთავრებელმა სტუდენტებმა წარმატებით დაასრულეს კურსი და თითქმის ყველა დასაქმდა, ასევე, უნარების სააგენტოც უკვე 2 წელია ატარებდა კვლევას აღნიშნულთან დაკავშირებით და მათაც ჰქონდათ მონაცემები, რომელიც იყო საექთნო განათლების 2019 წელს ჩარიცხული კურსდამთავრებულების შესახებ. წელს უკვე 2020 წელს ჩარიცხული და დამამთავრებელი სტუდენტები ჰყავდა კოლეჯს, რომელთა მონაცემებიც მომავალ წელს გვიჩვენებდა დასაქმების რაოდენობას, თუმცა კოლეჯს უკვე ჰქონდა სტატისტიკა სტუდენტების დასაქმების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგიონში გაიხსნა ჰოსპისი, რომელიც ითხოვდა კურსდამთავრებულებს და სამწუხაროდ, არ იყო რეგიონში ისეთი რაოდენობის კურსდამთავრებული, რა რაოდენობაც სჭირდებოდათ, შესაბამისად, დაწესებულებამ შესთავაზა მათ 2020 წლის დამამთავრებელი სტუდენტები, რომლებიც გადაემზადნენ თბილისის ჰოსპისის ბაზაზე და კოლეჯის ბაზაზეც. იმ სტუდენტებს, რომელთაც გერიატრია ჰქონდათ გავლილი, ძირითადი ნაწილი, 11 ადამიანი, დასაქმდა რეგიონში. 2023 წლის იანვარში კოლეჯს მიმართა ხურვალეთის შინმოვლის მიმართულებით ცენტრმა, რომელსაც სჭირდებოდა გადამზადებული კადრი ან გვთხოვეს მათი დასაქმებული კადრი გადაემზადებინა კოლეჯს, შესაბამისად აღნიშნული წერილის საფუძველზე დაიგეგმა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ჩატარდა კოლეჯის ძალებით და დაწესებულებამ ძირითადად მოიცვა შიდა ქართლი, ასევე კოლეჯმა მიმართა გორის მუნიციპალიტეტს და შესაძლებელი გახდა გორის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის დეპარტამენტიდან მიეღო ინფორმაცია. ასევე, დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციებთან ჰქონდა ძალიან მჭიდრო ურთიერთობა, მოხდა მათი გამოკითხვაც. მისი თქმით სტუდენტების 95% იყო დასაქმებული. წელიწადში კვოტა კოლეჯს ჰქონდა 28, კურსდამთავრებული 2019 წელს ჩარიცხული იყო 21 ადამიანი, აქედან გამომდინარე დაწესებულებას ჰყავდა 18 დასაქმებული. პრაქტიკოსი ექთნის კურსდამთავრებული იყო სულ 16 და დასაქმდა 14, შესაბამისად ეს იძლეოდა იმის გარანტიას, რომ 95% სტუდენტებისა მაინც საქმდება. რაც შეეხება საკვალიფიკაციო გამოცდებს, საექთნო განათლებასთან დაკავშირებით, ჩატარდა ადგილზე. დაწესებულების აუდიტორიები იძლეოდა პრაქტიკის და თეორიული ნაწილის გავლას. საკვალიფიკაციო გამოცდა ორ ნაწილად იყო წარმოდგენილი, ერთი იყო თეორიული ნაწილი და მეორე პრაქტიკული. მისი თქმით, როდესაც გამოცდა ტარდებოდა მას ესწრებოდა რამდენიმე დამკვირვებელი, რადგან პაციენტთან ასეთი სახით შესვლა და დაკვირვება გამორიცხული იყო, ირღვეოდა მისი უფლებები, აქედან გამომდინარე, სიმულაციური გარემო კოლეჯმა გადმოიტანა, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცათ დავალებები და მოეთხოვათ მანიპულაციების გაკეთება სიმულაციურ გარემოში. ჰქონდათ რამდენიმე ქეისი მიცემული და ამ ქეისებზე დაკვირვებას ახდენდნენ, როგორც პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი, ისე მოწვეული პირებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელებს საბოლოოდ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელის, ვანო ბალახაშვილის განცხადებით, ორი საკითხის შესახებ გააკეთებდა კომენტარს, პირველი ეს იყო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ ხომ არ იყო ზედმეტი დანახარჯები ამ მიმართულებით. მისი თქმით, დიდ რესურსს ფინანსური თვალსაზრისით არ მოითხოვდა, უფრო ადამიანური თვალსაზრისით მოითხოვდა რესურსს და კოლეჯს მართლაც ჰყავდა

ძალიან კარგი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რაც შეეხება თვითონ ქმედებებს, რაც განხორციელებული იყო ამ კუთხით, კანონმდებლობიდან გამომდინარე იყო მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს მსგავსი აქტივობების ჩატარებას, თუმცა აღნიშნული არ იყო ასახული პროფესიული განათლების სტანდარტში. რაც შეეხება მეორე საკითხს, ინდივიდუალურ გეგმასთან დაკავშირებით, აღნიშნულზე რეკომენდაციაც ჰქონდა დაწესებულებას მიცემული. სტუდენტების ჩართულობა საკმაოდ აქტიური იყო, რაც მათი პირადი საქმეებიდანაც იკვეთებოდა, თუმცა კოლეჯს რეგულაციაში არ ჰქონდა ეს გაწერილი. დაწესებულებამ ექსპერტების დასკვნის ატვირთვისთანავე, პირველივე დღეებში, შექმნა ეს მექანიზმი და გაგზავნილ იქნა დასკვნის პასუხად, შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გამოსწორებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო დვალის განცხადებით, სიმულაციური ავტორიზაცია ჩატარდა იმის შესაფასებლად, თუ განვითარების რა ეტაპზე იყო კოლეჯი. აღნიშნული პროცესის სწორად წარმართვაში დაწესებულებას დაეხმარა ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ავტორიზაციის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2).**

მეორე საკითხი: შპს „ნიუ მეჯიქის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს № 1002796 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი 13,14,15 აგვისტოს შპს ნიუ მეჯიქში (მის: საქართველო, ქ. ბათუმი. ივ. ჯავახიშვილის No3ა) და შეაფასა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ინდიკატორები 3.2.1.4 ; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.2; 4.1.2.3 ; 5.2.2.2; ასევე ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამისათვის ფარმაცია(სააფთიაქო) შეფასდა როგორც შეუსაბამო, მაგრამ შპს ნიუ მეჯიქმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიება, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ ხარვეზების აღმოფხვრის ვადა არ სცილდება ექვს თვეს. გეგმაში ორი აქტივობისათვის არ არის ვადა მითითებული(4.1.1.2 შრომის კოდექსის დარღვევით ორი პოზიციაზე სრული შტატით ერთი პირის დანიშვნა და 4.1.2.2. შრომითი ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო არსებითი

პირობით.) აღნიშნულია, რომ აღნიშნული აქტივობები უკვე შესრულებულია. თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის სრულყოფილი. ექსპერტებმა ჩათვალეს რომ ექვს თვეში მოსწრებადია ამ ორი ინდიკატორის სრულად გამოსწორებაც, თან იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი აქტივობა დაწესებულებამ უკვე განახორციელა. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ინდიკატორები 3.2.1.4 ; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.2; 4.1.2.3 ; 5.2.2.2; ასევე ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამისათვის ფარმაცია(სააფთიაქო) გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 3.2.1.4. შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ შექმნას სტუდენტთა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი.

ინდიკატორი 4.1.1.2. შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ მოახდინოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ისე, რომ უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის გამართული განხორციელება. ამისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ დანიშვნის ბრძანებები, ეს ცვლილებები უნდა აისახოს ხელშეკრულებებშიც და შესაბამის სამუშაო აღწერილობებში.

ინდიკატორი 4.1.1.3. შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი, მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, რათა გამოირიცხოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტები.

ინდიკატორი 4.1.2.2 შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის შერჩევის ისეთი პროცედურები, რაც უზრუნველყოფს კადრების დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. ასევე დაქირავებული პირების მხრიდან მიიღოს თანხმობა პირადი ინფორმაციის დამუშავებაზე. ეს ყოველივე აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში.

ინდიკატორი 4.1.2.3 შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა და მოთხოვნების შესაბამისი კადრების დანიშვნა.

ინდიკატორი 5.2.2.2 შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების გამოყენება.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია პროგრამისათვის ფარმაცია (სააფთიაქო)

ინდიკატორი 2.2.1.1 შპს „ნიუ მეჯიქს“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამისათვის „საბაჟო საქმე“

- · ვინაიდან მოცემულ მომენტში საჯარო სექტორი „პროფესიულ განათლებას“ არ განიხილავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებში და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ ასევე აპლიკანტებს მხოლოდ სრული ზოგადი განათლებით, ამ უკანასკნელთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. სასურველია, კოლეჯის მიერ ჩატარდეს

რეგიონში არსებული კერძო დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა. ასევე, სასურველია გაფორმდეს მემორანდუმები, რომელთა საფუძველზეც კერძო სექტორის წარმომადგენლები მისცემენ პროფესიულ სტუდენტებს არა მხოლოდ სტაჟირების გავლის, არამედ დასაქმების საშუალებასაც, სწავლის პარალელურად ან სწავლის დასრულების შემდეგ.

- მეტი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, იმ მოდულებთან მიმართებით, სადაც მხოლოდ ერთი განმახორციელებელია მითითებული, მიეთითოს ასევე დარგობრივი კომპეტენციის მქონე მეორე მასწავლებელიც.

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამისათვის „ფარმაცია (სააფთიაქო)

ინდიკატორი 2.1.1.4 განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მოდულებში „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“, „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ ძალადაკარგული ნორმატიული აქტების ახალი ნორმატიული აქტებით ჩანაცვლება.

ინდიკატორი 2.2.1.1 შპს ავერსის“, „გოლდფარმას“ გაფორმებულ ხელშეკრულებებში მომსახურების პირობებში გაპარულია ტექნიკური უზუსტობა, მითითებულია, რომ „პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოხდება შემსრულებლის საქმიანობის განმახორციელებელ ობიექტში შპს „დისფარმის“ (უნდა იყოს გოლდფარმა) სააფთიაქო ქსელში (შემდგომში პრაქტიკული კომპონენტის გავლის ობიექტი“). აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტების მხრიდან დადასტურდა, რომ ყველა ხელშეკრულება მოწერილია უფლებამოსილი პირების მიერ. რეკომენდებულია გასწორდეს შპს ავერსის“, „გოლდფარმას“ ხელშეკრულებებში არსებული უზუსტობა.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობისათვის კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები: თეორიული სწავლების აუდიტორიები; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის; სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის; დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის; სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის; ბიბლიოთეკა და სხვა. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სასწავლო ფართში არის ელექტრო გათბობის სისტემა. ყველა სასწავლო აუდიტორია და ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია. გათბობის ელექტრო სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. შენობის საევაკუაციო გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში განთავსებულია საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. სდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. შრომის უსაფრთხოების

უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის პირადი საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ იგი არის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებისა და შესაბამისი უფლების მქონე პირი. კოლეჯს ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სისტემატურად თვალყურს ადევნებს კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკის გამართულობას. თითოეულ კომპიუტერს აქვს IT ვირუსისგან დამცავი სისტემა: რომელიც ახლდება პერიოდულად. კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, რაც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კოლეჯის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და მასწავლებლებს შეუქმნას სწავლისა და მუშაობისთვის შესაბამისი პირობები. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი, კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელიც ატვირთულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გვერდზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საბაჟო საქმე“

ექსპერტების მიერ შემოწმდა საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული მატერიალური რესურსის არსებობა, მათ შორის სწავლების პროცესში დასათვალიერებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება. შემოწმებამ აჩვენა, რომ დაწესებულებას და პრაქტიკის ობიექტს უზრუნველყოფილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი. კერძოდ, წინასწარ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა არის 40, პროგრამის დანართში მატერიალური რესურსების შესახებ მითითებულია 15 კომპიუტერი. ვიზიტის დროს დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დაზუსტდა, თუ როგორი პრინციპით გეგმავდა დაწესებულება მოთხოვნილი კვოტის ათვისებას. დადგინდა, რომ დაწესებულება პირველ წელს გეგმავს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო დანარჩენ 20 -ს მეორე წელს. კომპიუტერული კლასის ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით დადგინდა, რომ დაწესებულებას მოწყობილი აქვს ორი კომპიუტერული კლასი (B გარემო), ვიზიტისას, ასევე, გაირკვა, რომ A გარემოდ გამოყენებული იქნება 303-ე აუდიტორია, სადაც ფაქტობრივად განთავსებულია 26 სტუდენტისთვის საჭირო მაგიდები და სკამები. დადგინდა, რომ აუდიტორიების გამტარუნარიანობა საკმარისია ყველა პროგრამის გათვალისწინებით. შესაბამისად, ყოველწლიურად დაგეგმილი 20-20 სტუდენტის სწავლებას აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულება შეძლებს შეუფერხებლად. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის მემორანდუმი გაფორმებული აქვს ერთ პრაქტიკის ობიექტთან - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურთან. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები ეწვივნენ შემოსავლების სამსახურის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს (სგპ „სარფი“), ადგილზე დაათვალიერეს მისი ინფრასტრუქტურა და გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ სრულად არიან აღჭურვილი პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით და სტუდენტები სწავლების პროცესში თავისუფლად შეძლებენ შედეგზე გასვლას. „საბაჟო საქმის“ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესიული მასწავლებელი (დარგის მიმართულებით) და 5 პროფესიული მასწავლებელი (ზოგადი მოდულების მიმართულებით). თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვა (არ აღემატება კვირაში 40 საათს).

ექსპერტის განმარტებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

საბჭოს წევრებმა, რუსუდან გიგაშვილმა, მარიამ ქუჩულორიამ და ნინო ველთაურმა დატოვეს საბჭოს სხდომა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“
ექსპერტის განცხადებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: A, B, და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და აღჭურვილობის რაოდენობა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია(სააფთიაქო)“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება“ დგინდება, რომ ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება მოხდა რეგულაციის შესაბამისად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ მოგვაწოდა წერილობით სტუდენტთა განაწილების გეგმა, რომლის თანახმად პროგრამა ფარმაციის სტუდენტებს მიიღებს წელიწადში (თითო სასწავლო წელზე) მხოლოდ 30 სტუდენტს. ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ბლოკი გამტარუნარიანია, თუ სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში სამ ჯგუფად გაყოფილი სტუდენტებით (ანუ თითო ჯგუფში 10). სხვა შემთხვევაში კოლეჯი ვერ შეძლებს სტუდენტების სწავლებას იმ მოდულებზე, რომლებსაც სჭირდება აღნიშნული სივრცე. ვინაიდან აღნიშნული სივრცე უკვე აღჭურვილია იმ რესურსი, რომლის შესყიდვაც შედარებით ძვირი უჯდება კოლეჯს და აკლია რესურსი, რომლის შეძენაც არ არის დაკავშირებული დიდ თანხებთან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოაწყოს ეს ბლოკი მოდულის მოთხოვნების შესაბამისად. კოლეჯს აღარ დასჭირდება ჯგუფის დაყოფა სამ ნაწილად და ეს დაუზოგავს დროსა და მასწავლებლის ანაზღაურებას. ამასთან, აუდიტორიის ფართიც იძლევა ამის საშუალებას.

დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების არსებობა დაწესებულებაში, შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. შესწავლილი იქნა პარტნიორ კომპანიებთან; შპს ,,გეფასთან“, ‘შპს ‘ავერსი ფარმასთან’, „გოლდფარმასთან“ და „დისფარმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები. პარტნიორ კომპანიასთან - შპს ,,ავერსი - ფარმასთან “ და შპს „გეფასთან“ მუშაობის პრინციპი ცნობილია და საკმაოდ მაღალ დონეზეა, ამიტომ, დროის ფაქტორიდან გამომდინარე, ექსპერტებმა დაათვალიერეს და გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების „გოლდფარმას“ და „დისფარმას“ წარმომადგენლებს და პრაქტიკის ობიექტის პედაგოგებს. გოლდფარმას ქსელი მოიცავს 6 აფთიაქს ქ. ბათუმში, ხოლო დისფარმას მფლობელობაში ორი დიდი ფართის აფთიაქია, რომელთაგან ერთ-ერთში, სადაც გახლდნენ ექსპერტები, სასიამოვნოდ გაოცებულნი დარჩნენ. ეს აფთიაქი თავისუფლად მიიღებს დღეში ორ ცვლაში 5-5 სტუდენტს. ორივე პრაქტიკის ობიექტზე დაგვხვდნენ საკმაოდ მაღალი დონის პროვიზორები, რომლებმაც გამოავლინეს როგორც პროგრამის და მოდულების, ასევე, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ცოდნა, რაც გამოწვეულია მათ მიერ ამ სფეროში ტრენინგების გავლით და დიდი ხნის პრაქტიკული გამოცდილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ პრაქტიკის ობიექტებზე თავისუფლად შეიძლებოდა სამი მოდულის გავლაც („მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“, „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის

პერიოდული კონტროლი“, „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“), რომელიც არსებული მდგომარეობით არ არის შესაძლებელი, ვინაიდან არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებებში ეს მოდულები. პროგრამით გათვალისწინებული სამი მოდულის („მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“, „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“, „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“) სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა, შპს ნიუ მეჯიქმა დაწესებულებამ 2023 წლის 14 ნოემბრის წერილით არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვით, დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორებისთვის იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისი აქტივობები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში პროგრამის თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილია ორი A და ორი B სასწავლო გარემო. პრაქტიკული სწავლის შედეგები, რომლებიც არ მიიღწევა სასწავლო კოლეჯში, გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე - საბავშვო ბაღებში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ საჭიროების შემთხვევაში მოხდება: სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფა სწავლების/შეფასების მეთოდებისა და აქტივობების რელევანტურობის განსაზღვრა გამოვლენილი საჭიროებებიდან განსაზღვრა გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, მატერიალური და სასწავლო რესურსის განსაზღვრა, სასწავლო განრიგისა და კვირეული დატვირთვის განსაზღვრა. პროფესიული მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქ. ბათუმის საბავშვო

ბაღების გაერთიანებასთან თანამშრომლობის საგანია აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფა ბათუმის საბავშვო ბაგა– –ბაღებში. არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სტუდენტები ისარგებლებენ მატერიალურ–ტექნიკური ბაზით. ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას კისრულობს, რომ ერთდროულად მიიღებს კოლეჯის 10 პროფესიული სტუდენტს. სულ პროგრამის ფარგლებში 50 პროფესიულ სტუდენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ორი AC და ერთ B გარემო, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 26 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. კოლეჯში განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად, პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში :- „შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალის ''მედცენტრი'', (ხელშ.24,02,2023წ.-დან 2029 წლის 1 იანვრამდე); „შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი,,(ხელშ.24.02.2023წ.-დან 2029 წლის 1 იანვრამდე.), ს.ს. ევექსის ჰოსპიტლებთან, რომლებსაც თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. შპს ,,ნიუ მეჯიქში,, მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების შინმოვლის და ავად მოვლის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი, ШМ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული პროგრამები მდგრადია და მისი წარმატებით განხორციელება ხელმისაწვდომია. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, (მოცემული პროგრამა არ მოითხოვს C სასწავლო გარემოს.). შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია 15 სამუშაო ადგილით, ასევე B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია 25 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამის „Oris” დემო ვერსია. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი; განმახორციელებელი პირების საერთო რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელს. აქედან 4 ზოგადი მოდულების 3 პროფესიული განათლების მასწავლებელს, ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. მასწავლებელთა დატვირთვის სქემების თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებელთა

საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, კვალიფიციური კადრების ნაკლებობას ხომ არ მოუხდენია რაიმე ზეგავლენა დაწესებულების ხარისხიან ფუნქციონირებაზე.

ექსპერტის განმარტებით, მიუხედავად იმის რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი იყო იურისტი და იურიდიულ საკითხებში ძალიან კარგად ერკვეოდა, მას მაინც აკლდა გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების შესრულებაში. ექსპერტებთან ერთად მოხდა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და დაწესებულება დაეთანხმა გაცემულ ხარვეზს. მათ დაინახეს საჭიროება იმისა, რომ ზოგიერთ პერსონალს კვალიფიკაციის ამაღლება ესაჭიროებოდა. აღნიშნული ხარვეზი უკვე გამოსწორებულია და დაწესებულებას ჰყავს შიდა რესურსი საკმაოდ გამოცდილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ფარმაცია (სააფთიაქოს) პროგრამის ფარგლებში, რომ მნიშვნელოვანი იყო, რა სახის მატერიალური რესუსი აკლდა კოლეჯს, რაც შესავსები იყო.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას არ აკლდა მატერიალური რესურსი, უბრალოდ, მაგალითისთვის, მიკროსკოპი 5 სტუდენტზე ერთი უნდა ყოფილიყო. ერთდროულად ლაბორატორიას შეუძლია დაიტიოს 10 სტუდენტი, ამიტომ, ცხრილის დრაფტი ჰქონდა კოლეჯს წარმოდგენილი, რომელიც შედგენილი იყო იმგვარად, რომ ლაბორატორიის ნაწილში სამად უნდა გაყოფილიყო ჯგუფი, ექსპერტების რჩევა აღნიშნულთან დაკავშირებით იყო ის, რომ წვრილმანი მატერიალური რესურსი, რომელიც დაწესებულებას აკლდა უნდა შეევსოთ, რათა არ მომხდარიყო სტუდენტების დაყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს პროფესიონალიზმისთვის. მისი განცხადებით, საბაჟოს პროგრამასთან დაკავშირებით პარადოქსული სიტუაცია იყო საქართველოში. სახელმწიფო, რომელიც აღიარებდა, რომ ქვეყანაში პროფესიული განათლება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიდეს, ამ დროს პროფესიული განათლების საბაჟოს პროგრამას, რომ დაამთავრებს სტუდენტი, სახელმწიფო არ ასაქმებს, ვინაიდან დამსაქმებელი ძირითადად ბაკალავრის ხარისხის კურსდამთავრებულს მოითხოვს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს კომპლექსურად და შევიდეს სათანადო ცვლილებები შესაბამის კანონში, სადაც არ იქნება მინიშნება იმაზე, რომ

აუცილებლად უნდა იყოს ბაკალავრის ხარისხის სტუდენტი, რათა მოხდეს მისი დასაქმება, შესაბამისად, საბჭო გამოდის ინიციატივით, რომ რეგულაცია, რომელიც უზღუდავს პროფესიული განათლების სტუდენტებს დასაქმებას, გადაიხედოს.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ნიუ მეჯიქის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს „ნიუ მეჯიქს“ (ს/კ: 405107619) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს „ნიუ მეჯიქს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3).**

საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი ოთხ კომპონენტში: 3.2, 4.1, 5.2 და ფარმაცია (სააფთიაქოს) პროგრამის ფარგლებში 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 20 მაისი.

მესამე საკითხის განხილვა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგთან დაკავშირებით, საბჭოს წევრების მხრიდან დროის არქონის გამო, გადატანილ იქნა ავტორიზაციის საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 18:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15, N15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15, N15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	192
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	25
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15, N15 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	475
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, ცხინვალის გზ. N 9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	105
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, ცხინვალის გზ. N 9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი)
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, ცხინვალის გზ. N 9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. გორი, ცხინვალის გზ. N 9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი ივ. ჯავახიშვილის ქ. N 3ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N 3 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N 3 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N 3 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N 3 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა	იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129